



ფინანსები, ბანკები, ბირჟები



საბანკო რისკების მართვის მეთოდების და რისკების მართვის სისტემის დანერგვის სრულყოფის აუდიტულობა

კონსტანტინე სულამანიძე

სტუ დოქტორანტი

გივი გამსახურდია


ემდ, სტუ სრული პროფესორი

თანამედროვე პირობებში, რისკების მეთოდების და რისკების მართვის სისტემების დანერგვის სრულყოფის მიმართულებით, საბანკო საქმიანობის წინაშე ახალი მოთხოვნები წარმოიშობა, რომლებიც გულისხმობს: ჯერ ერთი, საკრედიტო ორგანიზაციის მხრიდან შეფასებას იმაზე, თუ რომელი რისკები და რა მოცულობით შეუძლია მას თავის თავზე აიღოს; მეორე, რისკის ფაქტორის შემცირების თვალსაზრისით შესაბამისი ღონისძიებების დაამუშავებას ცხოვრებაში გასატარებლად; მესამე, ბანკის მიერ რისკების მართვის ისეთი სისტემის დაამუშავებას, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკის ხელმძღვანელობას გამოავლინოს, ლოკალიზება გაუკეთოს, შეაფასოს და კონტროლი გაუწიოს რისკის ამა თუ იმ სახეს და ამასთანავე პარალელურად, საბანკო საქმიანობის პროცესზე, მათი გავლენის მინიმიზაცია მოახდინოს.

უცხოეთის გამოცდილებიდან გამომდინარე რისკების მართვის სისტემა სხვადასხვა ელემენტებისაგან შედგება (ბანკის დონეზე რისკების მართვის სისტემის ფუნქციონირების ნათლად წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა ქვევით წარმოდგენილი სქემა – ბანკში რისკების მართვის სისტემის შესახებ).

როგორც სქემიდან ჩანს, რისკების მართვის სისტემის რეალიზაცია ხორციელდება სტრატეგიული მართვის დონეზე კონკრეტული ღონისძიებების დასახვით; აღნიშნული ფუნქციის განხორციელება ბანკის თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებს ევალებათ.

სქემა – ბანკში რისკების მართვის სისტემა



მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ბანკში რისკებზე კონტროლი ყოველდღიურად სხვადასხვა მეთოდის გამოყენების საფუძველზე ხორციელდება. საერთო ჯამში კონტროლის განხორციელების ეფექტურობას განსაზღვრავს ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპერატიული ფუნქციონირების, პერსონალის სწორად შერჩევის დონე და უშუალოდ საბუღალტრო ადგილებზე ცალკეულ ოპერაციების განხორციელების კონტროლის მექანიზმები. ამიტომ, რისკების მართვაზე კონტროლის ეფექტიან განხორციელებისათვის, აუცილებელია თანამშრომლებს შორის უფლებების და პასუხისმგებლობების სწორი განაწილება, თანამდებობრივი ინსტრუქციების დამუშავება და ინფორმაციების გადაცემის სრულყოფილი არხების შექმნა. რისკების სრულყოფილად აღრიცხვისათვის, უცხოეთის გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია ასევე ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის სხვადასხვა კუთხით შეფასება. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ბანკის ყოველ ცალკეულ განყოფილებას ინფორმაციების ნაწილი გააჩნია, რომელიც აუცილებელია მათ მიერ შესაბამისი საბანკო ოპერაციების განხორციელების პროცესში, რისკების ყოველმხრივი ანალიზისათვის. ეს უკანასკნელი ობიექტურად მოითხოვს ამ პროცესში ბანკის ცალკეულ განყოფილებებს შორის ინფორმაციის უწყვეტ გაცემას.

ფილებებს შორის ურთიერთმოქმედებისა და კოორდინაციის შესაბამის სქემის შექმნას.

კონტროლი რისკებზე შედის, როგორც მენეჯერების მოვალეობებში, ასევე აქციონერების მოვალეობებში (მხედველობაში გვაქვს უპირველეს ყოვლისა ბანკების დამფუძნებლების მოვალეობები). თუ პირველნი პასუხისმგებლები არიან მხოლოდ ოპერატიულ კონტროლის განხორციელებაზე, აქციონერები პასუხისმგებლები არიან ბანკის საქმიანობის სტრატეგიულ კონტროლთან ერთად, ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე. რისკებზე მართველობითი კონტროლის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თანამდებობრივი უფლებების მკაცრ განსაზღვრაზე, ორმაგი კონტროლის განხორციელებაზე და კადრების როტაციაზე. ყოველივე ხელს უწყობს რისკის მონიტორინგის ეფექტურობის ამაღლებას. ტერმინი „მონიტორინგი“ გულისხმობს რისკების შეფასებისა და კონტროლის დამოუკიდებელ სისტემას, რომელიც ემყარება მენეჯერებისათვის სრულ და ხარისხიან ინფორმაციის მიწოდებას.

მოცემული ინფორმაცია ეხმარება მენეჯერებს გაანალიზონ საბანკო საქმიანობის მიმდინარე მდგომარეობა, ბანკის ცალკეული მიმართულებებისა და მთლიანად ბანკის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღოს.

აღნიშნულის პრაქტიკულ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უცხოეთის ბანკებში აპრობირებული ინფორმაციის სტრუქტურა, რომელიც კრედიტის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს უნდა წარედგინოს. იგი გულისხმობს ინფორმაციის მიწოდების შემდეგ სახეებს: საკრედიტო ორგანიზაციის დასახელებას; რისკის საერთო მოცულობას; რისკის მოცულობას მისი უზრუნველყოფის გათვალისწინებით; ძირითად მომენტებს და თავისებურებებს, რომლებიც ოპერაციებს ახასიათებს; რისკის წმინდა მოცულობას; კლიენტის რეიტინგს; კლიენტის ფინანსური მდგომარეობას და მიმდინარე საქმიანობის შეფასებას; კლიენტის საერთო დატვირთვა მიმდინარე დავალიანების მომსახურების თვალსაზრისით.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი გარემოება, კერძოდ იმისათვის, რომ ბანკის რესურსები მიმართული იქნეს რისკების პროცესზე მონიტორინგის განხორციელების ამაღლებისათვის, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რისკების კლასიფიკაცია განხორციელდეს. მათი ბანკისათვის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია განვსაზღვროთ ღირებულებითი

ლიმიტები. აღნიშნული მოსაზრების განხორციელება არ ნიშნავს, რომ ისინი გადიან რისკების მართვის საერთო სისტემის ფარგლებიდან, არამედ გულისხმობს მათზე შერჩევითი წესით დამატებითი კონტროლის განხორციელებას. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საბანკო პრაქტიკაში არსებობს მრავალრიცხოვანი მოდელები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ რისკის შესაძლო ზემოქმედება მოგებაზე, წმინდა საპროცენტო შემოსავალზე და საკუთარ კაპიტალზე, მაგრამ ჩვენ კვლევის დროს ვისაზღვრებით მხოლოდ რისკების მართვის საერთო კონცეფციის იმ ხარისხის განხილვით, რომელიც საფუძვლად უდევს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რისკების მართვის პროცესი არ ითვლება დასრულებულად, თუ არ იქნება შემუშავებული ყველასათვის მისაღები რისკების მართვის მეთოდика. მაგრამ რისკების მართვის ოპტიმალური საერთო მეთოდის შემუშავება მეტად ძნელ და რთულ საქმეს წარმოადგენს, ვინაიდან ყოველი ბანკი საბანკო ბაზარზე თავისი თავისებურებით გამოირჩევა, მხედველობაში გვაქვს თანამშრომლების შესაძლებლობები, ნდობით შემუშავებული კავშირები, რომლებიც ძირითადი საბანკო ოპერაციების განხორციელებას უზრუნველყოფენ. ამიტომ ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოების გათვალისწინებაც, რომელიც, ვფიქრობ, ბანკის ხელმძღვანელებს არ უნდა გამოორჩეს, ეს არის რისკის მართვის მოდელის შედეგების მექანიკური კოპირების არ დაშვება. რისკების მართვის მეთოდის მოდელი, რომელიც შემუშავებულია კონკრეტული ბანკისათვის რისკის ლოკალიზებისათვის, შეიძლება სხვა ბანკისათვის დაბრუნდეს სრულ ფიასკოდ, რისკის მართვის შესაძლებლობების არალოკალიზების თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რისკების მართვის ერთიანი სისტემის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო კაპიტალზე შემოსავლების სიდიდის რისკის გათვალისწინების განსაზღვრა, რომელიც ბანკის მთავარი მიზნის – საკუთარი კაპიტალიდან მაქსიმალური მოგების მიღებას გულისხმობს და დასავლთის ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც აქსიომა ისე არის მიღებული. კაპიტალის საკმარისობის დაცვის მოთხოვნები ბანკს აიძულებს, რომ საკუთარი კაპიტალის მოცულობის გაზრდა განახორციელოს საკრედიტო დაბანდების გადიდების საფუძველზე. აღნიშნულის გამო არაფუნქციონალური კრედიტები და კრედიტებიდან დანაკარგები საკრედიტო რისკის პირდაპირი ზემოქ-

მედეგის შედეგს წარმოადგენენ, რომლებიც თავის მხრივ ორგანოდ ახდენენ გავლენას საბანკო კაპიტალის რენტაბელობაზე. აღნიშნული ორგანო ზემოქმედება გამოიხატება იმაში, რომ ისინი ერთის მხრივ იწვევენ პირდაპირ დანაკარგებს, ხოლო მეორე მხრივ მათი ზემოქმედება კიდევ უფრო ღრმავდება საბანკო კაპიტალის ნაწილის საკრედიტო დაბანდებიდან შემოსავლის არ მოცემის გამო. საბანკო კაპიტალის შემოსავლის განსაზღვრის მეთოდიკა რისკის გათვალისწინებით საშუალებას გვაძლევს თანმიმდევრული გაანგარიშების საფუძველზე განვსაზღვროთ, თუ როგორი უნდა იყოს ფასი ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო რესურსებზე, რომ მოახდინოს მან რისკის ზემოქმედების ფაქტორის კომპენსირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა განისაზღვროს რამდენად მაღალია საკრედიტო რისკის ზემოქმედების ხარისხი საპროცენტო განაკვეთის თვალსაზრისით მოცემული პორტფელის სტრუქტურაზე, რომელსაც შეუძლია ამ ზემოქმედების დანაკარგების კომპენსაცია მოახდინოს. ამ შემთხვევაში აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული რისკების მართვის მეთოდიკა წარმოადგენს რისკის მართვის განსაკუთრებული სისტემის ერთერთ ელემენტს, რომელიც ითვალისწინებს საბანკო კაპიტალის რენტაბელობას და ბანკის მიერ ცალკეული ოპერაციების რისკის გაწვევის ხარისხს.

საბანკო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რისკების მართვის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჰეჯირებას, დივერსიფიკაციას და ნაწარმოები ფინანსური მექანიზმების გამოყენებას. ფინანსური ბაზრის განვითარების შესაბამისად ნაწარმოები ფინანსური მექანიზმების ბაზარი, კერძოდ ფიუჩერსები, ოპციონები და სხვა სახის მექანიზმები ყალიბდება. სავალუტო, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების და საბაზრო რისკების შემცირებისათვის ფართოდ გამოიყენება სავალუტო და საპროცენტო ფიუჩერსები, ასევე რისკის შემცირებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ფორვარდული კონტრაქტები, საპროცენტო და სავალუტო სვოპები. ამ ფინანსური მექანიზმების გამოყენება მჭიდრო კავშირშია ჰეჯირებასთან, რომელიც წარმოადგენს სავალუტო, საკრედიტო და რისკის სხვა სახეების შემცირებისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებების სისტემას. ეს სისტემა გულისხმობს ინვესტორის მიერ რისკის განსაკუთრებული ფაქტორის მიმართ შემცირების მეთოდს. რისკის გამოვლენისა და მისი ზემოქმედების მეთოდი, კაპიტალდაბანდების ერთი ნაწილიდან შემოსავლების

შემცირებას, ხოლო მეორე ნაწილიდან, შემოსავლების გაზრდას გულისხმობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჰეჯირება ნიშნავს იმას, რომ დაბანდებუბის საკრედიტო პორტფელში რისკის განმსაზღვრელი ისეთი ფაქტორები იქნას შეტანილი, რომლებიც მასზე დიამეტრულად საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. აღნიშნულის ნათელყოფისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი, კერძოდ ვალუტის ჰეჯირება კონკრეტული მსესხებლის დაფინანსების დროს, წარმოადგენს სავალუტო რისკის შემადგენელ ნაწილს და მან უნდა მოიცვას ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები და მსესხებლები, რომელთა საქმიანობა მოიცავს საინვესტიციო საქონლის იმპორტს. ამ შემთხვევაში ლარის კურსის დაცემის პირობებში მოგებულები ექსპორტიორები რჩებიან, ვინაიდან დარგობრივი ექვივალენტი და მისი უცხოური ვალუტის ამონაგები იზრდება, ხოლო თავის სამაშულო მომწოდებლებთან და პერსონალთან ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში ხორციელდება და პირიქით, ეროვნული ვალუტის განმტკიცებამ შეიძლება ექსპორტიორთა პრობლემები გამოიწვიოს და პარალელურად იმპორტიორთა პოზიციები განამტკიცოს; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ბანკის პოზიცია არ არის ჰეჯირებული და იგი მხოლოდ ექსპორტზე ან იმპორტზე ორიენტირებული დარგის საწარმოებს აკრედიტებს, ამ შემთხვევაში სავალუტო კურსის უეცარმა რყევამ, ზეგავსებურად არაფუნქციონირებადი კაპიტალის მოცულობის სადიდე შეიძლება გაზარდოს. ჰეჯირების წარმატებით განხორციელება მაღალი დონის კვალიფიკაციას მოითხოვს, კაპიტალ-დაბანდებათა განხორციელების ოპტიმალური მიმართულებების განსაზღვრაში და არსებული, ასევე საწინააღმდეგო მდგომარეობაზე ჰეჯერული ფაქტორების ზემოქმედების ხარისხის შეფასებაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დივერსიფიკაცია გულისხმობს, პირიქით, კაპიტალის დანაწევრებას და რისკის შეფასებას, ერთ მსესხებელზე ფულადი რესურსების კონცენტრაციის გაუქმების საფუძველზე. ჰეჯირებისაგან განსხვავებით, სწორი დივერსიფიკაციის განხორციელება, როგორც რისკის შემცირების ღონისძიება, დამოკიდებულია საკრედიტო პორტფელში სამი პროექტის შეტანაზე, რომელთა შორის ერთერთის წარუმატებლობა მინიმალური ხარისხით დაკავშირებული იქნება სხვა პროექტის წარმატებებსა ან წარუმატებლობაზე. ყურადღებას იმსახურებს იმის აღნიშვნაც, რომ საბანკო საქმიანობის პრაქტიკაში გამოიყენება რისკების სისტემის მართვაში მრავალი სახის მიდგომები. მათგან ამა თუ იმ მოდელის შერჩევა განისაზღვრება

საკრედიტო დაწესებულების კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით. საყურადღებოა ისიც, რომ უცხოეთის ბანკის ზეღმძღვანელობა ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლებისაგან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ცალკეულ ოპერაციაზე, მოითხოვს, რომ მათ რისკების გამოვლენის და მონიტორინგის შიდა სისტემა შეიმუშავონ. ასეთი მიდგომის პირობებში საშუალო რგოლის, სტრუქტურების მენეჯერები პასუხისმგებლები არიან რისკების ლოკალური სისტემის საიმედო ფუნქციონირებაზე და რისკების მართვის სისტემის დანერგვაზე. განვითარებული ქვეყნების მსხვილ ბანკებში მოქმედებს რისკების მართვის კომიტეტები, რომლებიც დირექტორთა საბჭოს უფლებით ფუნქციონირებენ, ან სპეციალიზირებული განყოფილებების ფორმით არიან წარმოდგენილნი. მათი ამოცანაა ის, რომ განახორციელონ სხვადასხვა სტრუქტურული განყოფილებებიდან შემოსული ინფორმაციების შეგროვება და მათი ანალიზის საფუძველზე მთელი ბანკების დონეზე შედეგების განზოგადოება მოახდინონ და რისკების მართვის მეთოდის და სისტემის დანერგვის პროცესი დააჩქარონ.

ამასთანავე, ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით, ვფიქრობთ, სასურველი იქნება, თუ ქართულ კომერციულ ბანკებს დაუწესდებათ სპეციალური ყოველკვარტალური ანგარიშების ფორმა, რომელიც მოიცავს მსხვილი საკრედიტო დაბანდების დეტალურ აღწერას და რისკების მიხედვით მათ კლასიფიცირებას, ამ სესხებზე დაწესებული მონიტორინგის მიმოხილვას, გაწეული შესაძლო დანაკარგების რეზერვების ცვლილებასა და დინამიკას.

აღნიშნული მეთოდოლოგია ფართოდ გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ინგლისის, გერმანიისა და სხვა განვითარებული ქვეყნების საზედამხედველო სამსახურების მიერ. ასევე საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტებს (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) დაწესებული აქვთ სპეციალური ანგარიშგებების ფორმები, რომლებიც გამიზნულია მსხვილი კონცენტრაციების მონიტორინგის განსახორციელებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამსახურდია გ. საქართველოში ანტიკრიზისული ღონისძიებების ეროვნული კონცეფციის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, № 2, გვ. 11-23.
2. ვაშაყმაძე ი. საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის მნიშვნელობა ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევაში. ბათუმი, ბათუმის უნივერსიტეტი“, 2005.
3. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009.
4. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2001.
5. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი“, 2000.
6. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). ტომი I (მეორე გამოცემა). თბილისი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2007.
7. Ковзанадзе И.К. Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформированных стран. М., «Финансы и статистика», 2005.